სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 104

ქ. თბილისი 20 ივლისი 2018 წ.

2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2018 წლის 20 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N926904) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების, პროექტის გეგმა-გრაფიკის და რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონფერეციის ორგანიზატორთა პროფესიული ბიოგრაფიების CV ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესხებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხდების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი დავით ჩიჩუა;
10. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
11. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 20 ივლისის N104 ბრძანებით

საკონფერენციო გრანტების
კონკურსის პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. საკონფერენციო გრანტების კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №149 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. საკონფერენციო გრანტების კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №149 დადგენილებით დამტკიცებული „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (<u>დანართი №7</u>) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

4. 2018 წლის კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია, აგრეთვე დაფინანსდეს მიზნობრივი კონფერენციები, რომლებიც თემატურად მიძღვნილი იქნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილესადმი.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მიზნობრივი, თემატური კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

2. კონკურსის ფარგლებში შეიძლება გაიცეს, როგორც ინსტიტუციური გრანტი, ასევე გრანტი მეცნიერთა ჯგუფზე.

3. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია:

ა) საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს პროექტის წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სტატუსით. იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტი შემდგომში აღინიშნება, როგორც **ინსტიტუციური პროექტი**.

ბ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირთა ჯგუფს. ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტი შემდგომში აღინიშნება, როგორც **ჯგუფური პროექტი**.

3. **ინსტიტუციურ** პროექტს უნდა ჰყავდეს:

ა) **წამყვანი ორგანიზაცია**, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს **პროექტით** გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

ბ) **თანამონაწილე ორგანიზაცია** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

გ) **კონფერენციის ორგანიზატორები** (ძირითადი პერსონალი) – საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროექტით დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზებაზე და ასრულებენ პროექტის ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს **დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე** პირი, **დოქტორანტი.**

დ) **პროექტის ხელმძღვანელი** (ძირითადი პერსონალიდან) – **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან**, რომელიც ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ორგანიზებას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

ე) **პროექტის კოორდინატორი** (ძირითადი პერსონალიდან) – **დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე** პირი, **დოქტორანტი**, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საკითხებზე.

4. **ჯგუფურ** პროექტს უნდა ჰყავდეს:

ა) **კონფერენციის ორგანიზატორები** (ძირითადი პერსონალი) – საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროექტით დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზებაზე და ასრულებენ პროექტის ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს **დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე** პირი, **დოქტორანტი.**

ბ) **პროექტის ხელმძღვანელი** (ძირითადი პერსონალიდან) – **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან**, რომელიც ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ორგანიზებას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

გ) **პროექტის კოორდინატორი** (ძირითადი პერსონალიდან) – **დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე** პირი, **დოქტორანტი**, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საკითხებზე.

დ) **მასპინძელი ორგანიზაცია**, რომლის ბაზაზეც განხორციელდება პროექტი და რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

5. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

6. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში; დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.

7. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადამფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტს.

8. პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია კონკურსზე დაარეგისტრიროს **მხოლოდ ერთი პროექტი.**

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებორდეს 40 000 (ორმოცი ათას) ლარს.

2. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერ სონალის საზღაური;
ბ) კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;
გ) კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;
დ) კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი;
ე) კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შეს ყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
ვ) კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის და ქი რავების ხარჯები;
ზ) კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
თ) სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.).

3. კონფერენციის ორგანიზატორთა (ძირითადი პერსონალი) საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს.

4. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინასებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

5. თანადაფინანსების სახით კონფერენციის ხარჯებზე შეიძლება მიმართულ იქნას:

ა) კონკურსში მონაწილე პირის საკუთარი სახსრები;
ბ) დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსება;

6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

7. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა **2018 წლის 6 აგვისტოს 16:00** სთ-მდე უნდა გამოაგზავნოს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: cg@rustaveli.org.ge.

2. პროექტი შედგება შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტებისგან:

ა) პროექტის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს:

ა.ა. **საპროექტო წინადადება, გეგმა -გრაფიკი და რეზიუმე** (<u>დანართი 2</u>, PDF ფაილის სახით);

ა.ბ. **პროექტის ბიუჯეტი** (<u>დანართი 3</u>, Excel ფაილი)

ა.გ. **კონფერენციის ორგანიზატორთა პროფესიული ბიოგრაფიები** (CV) (ნიმუში, <u>დანართი 4</u>, გაერთიანებული PDF ფაილის სახით). ბიოგრაფიები წარმოადგენილი უნდა იყოს ფონდის გრანტების მართვის ერთიანი სისტემის (GMUS) ფორმატში.

ა.დ. **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ა.დ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ**

წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან <u>დანართი 5</u>-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ა.დ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა **თანადაფინანსების** შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 5-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით. თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ) პროექტის თანდართული დოკუმენტებია:

ბ.ა. <u>ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში</u> **პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - სსიპ-ს შემთხვევაში დაფუძნების დოკუმენტი, ა(ა)იპ-ის შემთხვევაში ორგანიზაციის წესდება და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2018 წლით დათარიღებული) (PDF ფაილის სახით).

ბ.ბ. <u>ჯგუფური პროექტის შემთხვევაში</u> მასპინძელი ორგანიზაციის თანხმობის წერილი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

ბ.გ. **კონფერენციის ორგანიზატორების** (ძირითადი პერსონალის) დოკუმენტები (გაერთიანებული PDF დოკუმენტის სახით):

ბ.ბ.ა. პირადობის მოწმობების სრული ასლი;

ბ.ბ.ბ. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის/ მაგისტრანტის/რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.

ბ.ბ.გ. მუშაობის ან/და სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** შესაბამისად დამოწმებული კონფერენციის ორგანიზატორების ხელმოწერით, ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით (<u>დანართი 6</u>).

4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში:
ა.ა. წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;
ა.ბ. ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.
ა.გ. თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

ბ) ჯგუფური პროექტის შემთხვევაში:
ბ.ა. ჯგუფის წევრების მიზნობრივი საბანკო ანგარიშები;
ა.ბ. პროექტის ხელმძღვანელის ცნობა იმის შესახებ, რომ არ არის რეგისტრირებული მევალეთა რეესტრში;
ა.გ. თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

5. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

6. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) **ელექტრონული** რეგისტრაცია საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტის ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: cg@rustaveli.org.ge გამოგზავნა – 2018 წლის **6 აგვისტოს 16:00 საათამდე;**

   ბ) ფონდის **კანცელარიაში** რეგისტრაცია – 2018 წლის **8 აგვისტოს 16:00 საათამდე.**

2. **პროექტში ჩართული პირები უნდა დარეგისტრირდნენ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში** [GMUS], შეავსონ **„მეცნიერის პროფილი"** და დააგენერირონ ბიოგრაფიები (CV) (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge). ამის შემდგეგ, პროექტის ხელმღვანელმა **ყველა ორგანიზატორის (ძირითადი პერსონალის)** CV-ი **გაერთიანებული PDF ფაილის** სახით დანარჩენ საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად გამოაგზავნოს კონკურსის ელ.ფოსტაზე.

3. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება **სარეგისტრაციო შიფრი** და გაეგზავნება პროექტის ხელმძღვანელს. პროექტის **სარეგისტრაციო შიფრი უნდა მიეთითოს განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ** (დანართი 6).

4. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში, რომელშიც მითითებულია პროექტის შიფრი და დადასტურებეულია შესაბამისი ხელმოწერებითა და პროექტში ჩართული ორგანიზაცი(ებ)ის ბეჭდით.

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ."

6. კონკურსის მონაწილეობის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ფონდი იტოვებს უფლებამოსილებას, არ განიხილოს შემოსული პროექტი.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

   ა) **2018 წლის 20 ივლისი** – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

   ბ) **2018 წლის 27 ივლისი** - ჯგუფური კონსულტაცია

   გ) **2018 წლის 6 აგვისტო, 16:00 სთ** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო ვადა;

   დ) **2018 წლის 8 აგვისტოს 16:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;

   ე) **2018 წლის აგვისტო** – კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების განხილვა საკონკურსო კომისიის მიერ;

   ვ) **2018 წლის აგვისტო** –საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

   ზ) **2018 წლის აგვისტო-სექტემბერი** – საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტები განიხილება საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ.

2. საკონკურსო კომისია იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კომისიის თავმჯდომარეს და თავჯდომარის მოადგილეს კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.

4. კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან/და ფონდის გენერალური დირექტორი.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

7. კომისია ადგენს იმ საპროექტო განაცხადების სიას, რომლებიც არ შეესაბამება „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 149 დადგენილებით დამტკიცებულ საკონფერენციო გრანტების გაცემის წესსა და ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის №104 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პიროებებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

8. კომისია განიხილავს საპროექტო განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებასა და შერჩევას „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 149 დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.

9. კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს დამატებით დამოუკიდებელი ექსპერტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან - პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. გამარჯვებული პროექტის გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის ნაწილი (გრანტის მოცულობას გამოკლებული გრანტის მიმღების/კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 2/3). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება პირველადი დოკუმენტაციის თანხლებით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ მათი დადებითად შეფასების შემდეგ.

მუხლი 9. ანგარიშგება და პროექტის შესრულების მონიტორინგი

დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N 149 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლისა და გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით დარეგულირებული წესების შესაბამისად.

მუხლი 10. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. კონფერენციის ფარგლებში შექმნილ ნაბეჭდ მასალაზე (ფლაერი, ბანერი, მოსაწვევი, კონფერენციის შრომათა კრებული, და სხვ.) ასევე ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე, ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო.

2. კონფერენციის გაშუქებისას ტრადიციულ და სოციალურ მედიაში სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ ღონისძიება განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]" / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]".

3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

4. ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ კონფერენციას.

დანართი №2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 20 ივლისის №104 ბრძანებით

საპროექტო წინადადება

ინფორმაცია პროექტის შესახებ [1]

ინფორმაცია კონფერენციის შესახებ		
სახელწოდება ქართულად		
სახელწოდება ინგლისურად		
კონკურსის მიმართულება[2]		
სამეცნიერო მიმართულებები (მაქსიმუმ სამი)	1. 2. 3.	
ჩატარების პერიოდი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
ჩატარების ადგილი		
მოთხოვნილი დაფინანსება (ლარი)		
თანადაფინანსება (ლარი)		
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)		

პროექტის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი		
სამეცნ. ხარისხი		თანამდებობა
პირადი ნომერი		ვებგვერდი
ტელეფონი		ელ. ფოსტა
მისამართი		

პროექტის კოორდინატორი

სახელი, გვარი		
სამეცნ. ხარისხი		თანამდებობა
პირადი ნომერი		ვებგვერდი
ტელეფონი		ელ. ფოსტა
მისამართი		

[1] გამოიყენენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 11, დაშორება "single".
[2] მიმართულების და ქვემიმართულების არჩევისას იხელმძღვანელეთ სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით - დანართი 7

წამყვანი ორგანიზაცია [3] (ივსება ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება	
ორგანიზაციის კოდი	
მისამართი	
ვებგვერდი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	
ტელეფონი	ელ. ფოსტა

თანამონაწილე ორგანიზაცია (ივსება ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება	
ორგანიზაციის კოდი	
მისამართი	
ვებგვერდი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	
ტელეფონი	ელ. ფოსტა

მასპინძელი ორგანიზაცია (ივსება ჯგუფური პროექტის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება	
ორგანიზაციის კოდი	
მისამართი	
ვებგვერდი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	
ტელეფონი	ელ. ფოსტა

1. კონფერენციის სტატუსი, მასშტაბი და სამიზნე ჯგუფები
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

2. კონფერენციის მიზანი და ამოცანები
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

3. კონფერენციის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა და აქტუალურობა
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

4. მოსალოდნელი შედეგების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების მექანიზმები (მასალებზე ღია წვდომა, მედია-გაშუქება, მარკეტინგი)
(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

---

[3] აქ და შემდგომში საჭიროებისამებრ დაამატეთ ან წაშალეთ ცხრილები ან ცხრილის მწიკრივები

5. პროექტის განხორციელების გზები და გეგმა-გრაფიკი

(შეავსეთ ცხრილი და დაასაბუთეთ განხორციელების გზებისა და გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

№	დაგეგმილი აქტივობები	აქტივობის შესრულების პერიოდი (დღე, თვე)	შედეგის ამსახველი მასალა	ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

6. არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების რეალურობა

(შეავსეთ ცხრილი და დაასაბუთეთ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400)

არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები		
№	არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები	განთავსების ადგილი (წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში)
1		
2		
3		
4		
№	მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები	განთავსების ადგილი (წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში)
1		
2		
3		
4		

7. პროექტის ორგანიზატორების (ძირითადი პერსონალის) შესაბამისობა პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან

(შეავსეთ ცხრილი და თითოეული პერსონალისათვის წარმოადგინეთ მათი გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1000)

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი)	აკადემიური ხარისხი	პროექტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები და შესასრულებელი სამუშაოები

პროექტის რეზიუმე ქართულ ენაზე
(სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300).

პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე
(სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300).

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 20 ივლისის N104 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი
(ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)

N	ხარჯვის კატეგორია	ჯამური ღირებულება (ლარი)	ბიუჯეტის დასაბუთება
1	კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის საზღაური		
2	კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი		
3	კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი		
4	კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი		
5	კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი		
6	კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯი.		
7	კონფერენციის მასალების ბეჭდვის ხარჯი		
8	სხვა საქონელი და მომსახურეობა (საკანცელარიო და სხვა)		
	სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა:	**0**	

თანადაფინანსება:

N	ხარჯვის კატეგორია	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიზნობრიობა და ბიუჯეტის დასაბუთება
1			
2			
3			
4			
	სულ თანადაფინანსება:	**0**	

1. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 40.000 (ორმოცი ათას) ლარს;

2. ბიუჯეტი წარმოდგენილ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

3. კონფერენციის ორგანიზატორთა შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს

4. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დაამატოთ ხაზი

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი

დანართი №5

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 20 ივლისის №104 ბრძანებით

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	

ცნობა თანადაფინანსების შესახებ				
თანადამფინანსებელი იურიდიული/ ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	დაფინანსების პერიოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში	თანადაფინანსების თანხა უცხოურ ვალუტაში

(გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსების მიზნობრიობა)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ორგანიზაციის ბეჭედი:

თარიღი:

CG18_

სარეგისტრაციო შიფრი

დანართი №6
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 20 ივლისის №104 ბრძანებით

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2018 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში მონაწილეობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ გავეცანით საქართველოს მთავრობის 2008 წლის N149 დადგენილებას „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის“ შესახებ და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 18 ივლისის №104 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს.

წინამდებარე პროექტის წარმომდგენები ვაცხადებთ თანხმობას მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. ამასთანავე, ვაცნობიერებთ, რომ კონკურსის მიზნებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო, არასრული ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

ვადასტურებთ, რომ კონკურსის ელ. ფოსტაზე cg@rustaveli@org.ge წარმოდგენილია:

პროექტის შინაარსობრივი ნაწილი:[1]

- ☐ საპროექტო წინადადება (PDF ფაილი)
- ☐ პროექტის ბიუჯეტი (Excel ფაილი)
- ☐ კონკურსის ორგანიზატორების (ძირითადი პერსონალის) ბიოგრაფიები (გაერთიანებული PDF ფაილი);
- ☐ ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (PDF ფაილი);

პროექტის თანდართული დოკუმენტები:

- ☐ იურიდიული პირების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები (გაერთიანებული PDF ფაილი);
- ☐ კონფერენციის ორგანიზატორების პირადობის მოწმობის/პასპორტის სრული ასლები, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, მუშაობის ან/და სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები (გაერთიანებული PDF ფაილი);

ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

[1] წაშალეთ ის დოკუმენტები, რომელიც არ წარმოგიდგენიათ კონკურსის ელექტრონული ფოსტით

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განცხადება 2018 წელის საკონფერენციო გრანტის მისაღებად.

CG18_

სარეგისტრაციო შიფრი

სამეცნიერო მიმართულება *	1. 2. 3.
კონფერენციის სახელწოდება (ქართულად)	
კონფერენციის სახელწოდება (ინგლისურად)	

სამეცნიერო მიმართულების შესარჩევად იხელმძღვანელეთ სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით (დანართი 7)

პროექტის ბიუჯეტი:

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა, ლარი	თანადაფინანსება, ლარი	პროექტის საერთო ბიუჯეტი, ლარი

ჩატარების პერიოდი _____ _____

დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი

ჩატარების ადგილი _____

პროექტის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი		ხელმოწერა	
პირადი ნომერი			
აკადემიური ხარისხი			
სამუშაო ადგილი, თანამდებობა			
ტელეფონი		ელ. ფოსტა	
მისამართი			

პროექტის კოორდინატორი

სახელი, გვარი		ხელმოწერა	
პირადი ნომერი			
აკადემიური ხარისხი			
სამუშაო ადგილი, თანამდებობა			
ტელეფონი		ელ. ფოსტა	
მისამართი			

პროექტის სხვა ორგანიზატორები

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1			
2			
3			
4			

* საჭიროებისამებრ დაამატეთ მწკრივები

წამყვანი ორგანიზაცია (ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება			
ორგანიზაციის კოდი			
მისამართი			
ვებგვერდი			
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი		ხელმოწერა	
ტელეფონი		ელ. ფოსტა	

ბ.ა.

თანამონაწილე ორგანიზაცია (ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება			
ორგანიზაციის კოდი			
მისამართი			
ვებგვერდი			
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი		ხელმოწერა	
ტელეფონი		ელ. ფოსტა	

ბ.ა.

* საჭიროებისამებრ დაამატეთ ან წაშალეთ ორგანიზაციის ცხრილები

	სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი
კოდი	**სამეცნიერო მიმართულება**
	ქვემიმართულება
1	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**
1.1	**მათემატიკა** • წმინდა მათემატიკა, • გამოყენებითი მათემატიკა; • სტატისტიკა და ალბათობა - ამ უკანასკნელში შედის კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგიები, მაგრამ არ შედის კვლევები გამოყენებითი სტატისტიკაში, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს შესაბამის ქვემიმართულებაში (მაგალითად, ეკონომიკა, სოციოლოგია, და ა.შ.).
1.2	**კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებები** • კომპიუტერული მეცნიერებანი; • საინფორმაციო მეცნიერება და ბიოინფორმატიკა (ტექნიკურ-აპარატურული უზრუნველყოფის შემუშავება შედის 2.2-ში, სოციალური ასპექტი 5.8-ში).
1.3	**ფიზიკის მეცნიერებები** • ატომური, მოლეკულური და ქიმიური ფიზიკა (ატომებისა და მოლეკულების ფიზიკა, შეჯახებისა და გამოსხივებასთან ურთიერთქმედების ჩათვლით, მაგნიტური რეზონანსები, მესბაუერის ეფექტი [იგივე ბირთვული გამა-რეზონანსი]); • კონდენსირებული გარემოს ფიზიკა (რაშიც ადრე შედიოდა მყარი სხეულის ფიზიკა, ზეგამტარობა); • ელემენტარული ნაწილაკების და ველების ფიზიკა; • ბირთვული ფიზიკა; • სითხე-აირებისა და პლაზმის ფიზიკა (ზედაპირის მოვლენათა ფიზიკის ჩათვლით); • ოპტიკა (ლაზერული და კვანტური ოპტიკის ჩათვლით); • აკუსტიკა; • ასტრონომია (ასტროფიზიკის, კოსმოსის მეცნიერების ჩათვლით).
1.4	**ქიმიის მეცნიერებები** • ორგანული ქიმია; • არაორგანული და ბირთვული ქიმია; • ფიზიკური ქიმია, პოლიმერების შემსწავლელი მეცნიერება, ელექტროქიმია (მშრალი ბატარეები, აკუმულატორები, სათბობი ელემენტები, კოროზიული ლითონები, ელექტროლიზი); • კოლოიდური ქიმია; • ანალიზური ქიმია.
1.5	**დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები** • გეომეცნიერებანი, მრავალდარგობრივი დისციპლინები; • მინერალოგია; • პალეონტოლოგია; • გეოქიმია და გეოფიზიკა; • ფიზიკური გეოგრაფია; • გეოლოგია; • ვულკანოლოგია; • გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები შედის 5.7-ში); • მეტეოროლოგია და ატმოსფერული მეცნიერებები; • კლიმატოლოგია; • ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები.
1.6	**ბიოლოგიის მეცნიერებები** • უჯრედული ბიოლოგია, მიკრობიოლოგია; • ვირუსოლოგია;

• ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია;
• ბიოქიმიური კვლევის მეთოდები;
• მიკოლოგია;
• ბიოფიზიკა;
• გენეტიკა და მემკვიდრეობითობა (სამედიცინო გენეტიკა შედის 3-ში);
• რეპროდუქციული ბიოლოგია (სამედიცინო ასპექტები შედის 3-ში);
• განვითარების ბიოლოგია;
• მემცენარეობა, ბოტანიკა;
• ზოოლოგია, ორნითოლოგია, ენტომოლოგია, ქცევით მეცნიერებათა ბიოლოგია;
• ზღვის ბიოლოგია,მტკნარი წყლის ბიოლოგია, ლიმნოლოგია; ეკოლოგია; ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია;
• ბიოლოგია (თეორიული, მათემატიკური, თერმული, კრიობიოლოგია, ბიოლოგიური რითმი), ევოლუციური ბიოლოგია;
• ბიოლოგიის სხვა დარგები.

1.7 სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2 ინჟინერია და ტექნოლოგიები

2.1 სამოქალაქო ინჟინერია

• სამოქალაქო ინჟინერია;
• არქიტექტურული ინჟინერია;
• სამშენებლო ინჟინერია, მუნიციპალური და სტრუქტურული ინჟინერია;
• სატრანსპორტო ინჟინერია.

2.2 ელექტროინჟინერია, ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო ინჟინერია

• ელექტრო და ელექტრონული ინჟინერია;
• რობოტექნიკა და ავტომატური მართვა;
• ავტომატიზაცია და მართვის სისტემები;
• საკომუნიკაციო ინჟინერია და სისტემები;
• ტელეკომუნიკაციები;
• კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფა და კომპიუტერული არქიტექტურა.

2.3 მექანიკური ინჟინერია

• მექანიკური ინჟინერია;
• გამოყენებითი მექანიკა;
• თერმოდინამიკა;
• საავიაციო ინჟინერია;
• ბირთვულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინჟინერია (ბირთვული ფიზიკა შედის 1.3-ში);
• აუდიო ინჟინერია, საიმედოობის ანალიზი.

2.4 ქიმიური ინჟინერია

• ქიმიური ინჟინერია (წარმოება, პროდუქცია);
• ქიმიური პროცესების ტექნოლოგია.

2.5 მასალათა ინჟინერია

• მასალათა ტექნოლოგია;
• კერამიკა;
• დაფარვა და დასაფერი გარსები;
• კომპოზიტები (ლამინატების, არმირებული პლასტიკატების, ლითონკერამიკის, კომბინირებული ბუნებრივი და სინთეზური ბოჭკოს ქსოვილების შევსებული კომპოზიტების ჩათვლით);
• ქაღალდი და ხის მასალა;
• საფეიქრო ქსოვილები/ნაკეთობანი; სინთეზური საღებავების, ბოჭკოების ჩათვლით; (ნანომასალები შედის 2.10-ში; ბიომასალები 2.9-ში).

2.6 სამედიცინო ინჟინერია

• სამედიცინო ტექნოლოგია;

• სამედიცინო ლაბორატორიული ტექნოლოგია (ლაბორატორიული ნიმუშების ანალიზის, დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების ჩათვლით); (ბიომასალები შედის 2.9-ში [ცოცხალი მასალის ფიზიკური მახასიათებლები, როგორიცაა სამედიცინო იმპლანტები, ხელსაწყოები, სენსორები]).

2.7 გარემოს შემსწავლელი ინჟინერია

• გარემოს და გეოლოგიური ინჟინერია, გეოტექნიკა;

• ნავთობმრეწველობა (საწვავი), ენერგია და საწვავი;

• დისტანციური ზონდირება;

• სამთო და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება;

• საზღვაო ინჟინერია, საზღვაო ხომალდები;

• ოკეანის ინჟინერია.

2.8 ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია

• გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიები;

• ბიორემედიაცია, დიაგნოსტიკური ბიოტექნოლოგიები (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები) გარემოს მენეჯმენტში;

• გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიების ეთიკა).

2.9 სამრეწველო ბიოტექნოლოგია

• სამრეწველო ბიოტექნოლოგია;

• ბიოპროცესების ტექნოლოგიები (ინდუსტრიული პროცესები, რომელიც ეფუძნება ბიოლოგიურ აგენტებს პროცესის გასააქტიურებლად), ბიოკატალიზი, ფერმენტაცია;

• ბიოპროდუქტები (პროდუქტები,რომლებიც წარმოებულია ბიოლოგიური ნედლეულისაგან) ბიომასალები, ბიოპლასტიკები, ბიოსაწვავები, ბიოწარმოშობის მასალები და სუფთა ქიმიკატები, ბიოწარმოშობის ახალი მასალები.

2.10 ნანო-ტექნოლოგია

• ნანო-მასალები (პროდუქცია და მახასიათებლები);

• ნანო- პროცესები; (ბიომასალები შედის 2.9-ში).

2.11 სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები

• საკვები და სასმელი პროდუქტები;

• სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები.

3 მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები

3.1 ფუნდამენტური მედიცინა

• ანატომია და მორფოლოგია (მემცენარეობა 1.6-ში);

• ადამიანის გენეტიკა;

• იმუნოლოგია;

• ნეირომეცნიერებანი ფსიქოფიზიოლოგიის ჩათვლით);

• ფარმაკოლოგია და ფარმაცია;

• სამედიცინო ქიმია;

• ტოქსიკოლოგია;

• ფიზიოლოგია (ციტოლოგიის ჩათვლით);

• პათოლოგია.

3.2 კლინიკური მედიცინა

ანდროლოგია;

• მეანობა და გინეკოლოგია;

• პედიატრია;

• კარდიოლოგია და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;

• პერიფერიული ვასკულარული დაავადებები;

• ჰემატოლოგია;

• რესპირატორული სისტემის დაავადებები;
• კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა;
• ანესთეზიოლოგია;
• ორთოპედია;
• ქირურგია;
• რადიოლოგია, ბირთვული მედიცინა და სხივური თერაპია;
• ტრანსპლანტაცია;
• სტომატოლოგია, ყბასახის ქირურგია;
• დერმატოლოგია და ვენეროლოგია;
• ალერგოლოგია;
• რევმატოლოგია;
• ენდოკრინოლოგია და ნივთიერებათა ცვლა (დიაბეტისა და ჰორმონების ჩათვლით);
• გასტროენტეროლოგია და ჰეპატოლოგია;
• უროლოგია და ნეფროლოგია;
• ონკოლოგია;
• ოფთალმოლოგია;
• ოტორინოლარინგოლოგია;
• ფსიქიატრია;
• კლინიკური ნევროლოგია;
• გერიატრია და გერონტოლოგია;
• ზოგადი და შინაგანი მედიცინა;
• სხვა კლინიკური მედიცინის დარგები;
• ინტეგრირებული და კომპლემენტალური მედიცინა (ალტერნატიული პრაქტიკული სისტემები).

3.3 ჯანმრთელობის მეცნიერებები

• ჯანდაცვის მეცნიერებანი და სერვისები (მოიცავს ჰოსპიტალურ ადმინისტრირებას, ჯანდაცვის დაფინანსებას);
• ჯანდაცვის პოლიტიკა და სერვისები;
• ავადმყოფის მოვლა, კვება და დიეტეტიკა;
• ჯანდაცვა და გარემოს ჰიგიენა;
• ტროპიკული მედიცინა;
• პარაზიტოლოგია;
• ინფექციური დაავადებები;
• ეპიდემიოლოგია;
• ოკუპაციური ჯანმრთელობა (პროფესიული დაავადებები);
• სპორტი და ფიტნეს მეცნიერებანი;
• სოციალური ბიოსამედიცინო მეცნიერებანი (მოიცავს ოჯახის დაგეგმვას, სექსუალურ ჯანმრთელობას, ფსიქო-ონკოლოგიას, ბიოსამედიცინო კვლევის პოლიტიკურ და სოციალურ ეფექტებს);
• სამედიცინო ეთიკა;
• ნარკომანია.

3.4 სამედიცინო ბიოტექნოლოგია

• ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბიოტექნოლოგიები;
• უჯრედებზე, ქსოვილებისა და მთლიანი ორგანიზმზე ზემოქმედებაში (რეპროდუქციის ჩათვლით) ჩართული ტექნოლოგიები;
• დნმ-ის, ცილებისა და ფერმენტების იდენტიფიცირების პროცესში ჩართული ტექნოლოგიები და მათი ზემოქმედება დაავადების გამოვლინებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, გენური დიაგნოსტიკა და თერაპიული ინტერვენცია (ფარმაკოგენეტიკა, გენური თერაპია);
• ბიომასალები (ბიოიმპლანტები, ბიომოწყობილობები, ბიოსენსორები);
• ეთიკასთან დაკავშირებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიები.

3.5 მედიცინის სხვა დარგები

• სასამართლო მედიცინა
• მედიცინის სხვა დარგები.

4	**აგრარული მეცნიერებები**
4.1	**სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა** • სოფლის მეურნეობა; • მეტყევეობა; • მეთევზეობა; • ნიადაგმცოდნეობა; • მებაღეობა, მევენახეობა; • აგრონომია, მცენარეთა გამრავლება და დაცვა; (აგრარული ბიოტექნოლოგიები შედის 4.4-ში).
4.2	**მეცხოველეობა და მერძევეობა** • მეცხოველეობა და მერძევეობა; (ბიოტექნოლოგიები მეცხოველეობაში - შედის 4.4-ში) • მესაქონლეობა; • შინაური ცხოველები.
4.3	**ვეტერინარული მეცნიერებები**
4.4	**სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიები** • სასოფლო-სამეურნეო და კვების ბიოტექნოლოგიები; • GM ტექნოლოგიები (სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მსხვილფეხა საქონელი); • მსხვილფეხა საქონლის კლონირება, მარკირებული სელექცია, დიაგნოსტიკა (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები დაავადებების ადრეული /ზუსტი გამოვლენისათვის) სამრეწველო ნედლეულის ბიომასის წარმოების ტექნოლოგიები, ბიოფარმაცია; • აგრარული ბიოტექნოლოგიების ეთიკა.
4.5	**სხვა აგრარული მეცნიერებები**
5	**სოციალური მეცნიერებები**
5.1	**ფსიქოლოგია** • საინჟინრო ფსიქოლოგია • ფსიქოლოგია, სპეციალური (მოიცავს თერაპიას სწავლის, მეტყველების, სმენის, ვიზუალური და სხვა ფიზიკური და მენტალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის).
5.2	**ეკონომიკა და ბიზნესი** • ეკონომიკა, ეკონომეტრიკა; • ინდუსტრიული ურთიერთობები; • ბიზნესი და მენეჯმენტი.
5.3	**განათლების მეცნიერებები** • განათლება, ზოგადი; ტრენინგების, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის ჩათვლით; • განათლება, სპეციალური (განსაკუთრებული ნიჭის მქონე, სწავლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის).
5.4	**სოციოლოგია** • სოციოლოგია; • დემოგრაფია; • ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციოლური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები, სოციალური სამუშაო).
5.5	**სამართალი** • სამართალი, • კრიმინოლოგია, • პენოლოგია (მეცნიერება დასჯაზე და სასჯელის აღსრულებაზე).
5.6	**პოლიტიკური მეცნიერებები** • პოლიტიკური მეცნიერებანი; • საჯარო მართვა; • ორგანიზაციული თეორია.

5.7 სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია

- გარემოს დაცვის მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები);
- კულტურული და ეკონომიკური გეოგრაფია;
- ურბანული კვლევა (დაგეგმვა და განვითარება);
- სატრანსპორტო დაგეგმვა და ტრანსპორტის სოციალური ასპექტები (სატრანსპორტო ინჟინერია შედის 2.1-ში).

5.8 მედია და კომუნიკაცია

- ჟურნალისტიკა;
- საინფორმაციო მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები);
- საბიბლიოთეკო მეცნიერება;
- მედია და სოციო-კულტურული კომუნიკაცია.

5.9 სხვა სოციალური მეცნიერებები

- სოციალური მეცნიერებები, ინტერდისციპლინური;
- სხვა სოციალური მეცნიერებები.

6 ჰუმანიტარული მენიერებები

6.1 ისტორია და არქეოლოგია

- ისტორია (მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია შედის 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია კი შესაბამის ქვემიმართულებებში);
- არქეოლოგია.

6.2 ენათმეცნიერება და ლიტერატურა

- ენების ზოგადი კვლევები;
- ცალკეული ენები;
- ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა;
- ლიტერატურის თეორია;
- ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა;
- ლინგვისტიკა.

6.3 ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

- ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია და ფილოსოფია;
- ეთიკა (გარდა ცალკეული ქვედარგების ეთიკისა);
- თეოლოგია;
- რელიგიათმცოდნეობა.

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

- ხელოვნება, ხელოვნების ისტორია;
- არქიტექტურული დიზაინი;
- საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია);
- ფოლკლორული კვლევები;
- კინომცოდნეობა, რადიო და ტელევიზია.

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

7 საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

7.1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

7.2 ინჟინერია და ტექნოლოგიები

7.3 მედიცინა და ჯანმრთელობის მეცნიერებები

7.4 აგრარული მეცნიერებები

7.5 სოციალური მენიერებები

7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები

შენიშვნა: 1-6 მიმართულებები განსაზღვრულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციის შესაბამისად